საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020136977260620

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/332 **17 / იანვარი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

თქვენი 2020 წლის 08 იანვრის №193/01 წერილის პასუხად, რომელიუც ეხება სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემას, დამატებით წარმოგიდგენთ ჩვენს ხელთარსებულ ინფორმაციას:

1983 წელს მარაგების ტერიტორიული კომისიის მიერ დამტკიცებული იქნა „მესტიის“ ნახშირმჟავიანი მინერალური წყლის საბადოს (მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლაგამის მიმდებარე ტერიტორია), მარაგები B კატეგორიაში - 285 $м^3$/დღე-ღამეში, ანუ 104 025 $м^3$/წელიწადში; ნახშირმჟავიანი მინერალური წყლის მოპოვება (104 025 $м^3$/წელიწადში) განხორციელდება საბადოზე არსებული № 5 ჭაბურღილიდან, რომლის სიღრმე შეადგენს 60 მეტრს.; ჭაბურღილიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს 25-26 მეტრს; მინერალური წყლის მოპოვება არ გამოიწვევს ხმაურს; საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები არ არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთოხვთ, განმეორებით განიხილოთ ჩვენი 2019 წლის 24 დეკემბრის №22/9610 წერილით წამოდგენილი ინფორმაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე